ათეულში მოხვედრის პერსპექტივა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 17 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “ჩერნომორეცი” (ოდესა) 2:0 (1:0).

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე (ხინჩაგაშვილი), ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, გუცაევი (წერეთელი), გ. ნოდია, ესებუა.

“ჩერნომორეცი”: დეგტიარიოვი, ივანენკო, ბარანოვსკი, გრიგორიევი, ზუბკოვი, ფეიდმანი, საპოჟნიკოვი, უსტიმჩიკი, მაკაროვი, დავიდოვი (ტომაშევსკი), პროკოპენკო (როდიონოვი).

მსაჯი ი. კალგანოვი (სვერდლოვსკი).

მატჩის წინ შექმნილი სატურნირო მდგომარეობა სრულიად განსხვავებულ ამოცანებს უსახავდა ორივე გუნდს. ოდესელმა ფეხბურთელებმა წლევანდელ სეზონში თავიანთი გუნდის ისტორიაში არნახულ წარმატებას მიაღწიეს, 14 ნოემბერს შინ ის ქულა აიღეს მოსკოვის “დინამოსთან”, რომელიც მათ საბოლოოდ აძლევდა III საპრიზო ადგილს და საგაისოდ უეფა-ს ტურნირში მონაწილეობის უფლებას. იყო კიდევ დარჩენილი წმინდა თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ “ჩერნომორეცს” თბილისში გაემარჯვა, ხოლო მოსკოვის “სპარტაკს” ტაშკენტში წაეგო და ორივე მატჩის ანგარიშების ჯამში მომხდარიყო იმ ცხრაგოლიანი უპირატესობის ლიკვიდაცია, რომელიც სპარტაკელებს ჰქონდათ ოდესელებთან შედარებით. მაშინ “ჩერნომორეცი” წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი იქნებოდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთ ტურში შეკვეთით მოხდეს ასეთი ამბავი: “ფახთაქორი” _ “სპარტაკი” 5:0, “დინამო” (თბილისი) _ “ჩერნომორეცი” 0:5.

უფრო რეალური “მიწიერი” ამოცანის წინაშე იდგნენ თბილისელები, რომლებსაც მთელი სეზონის მანძილზე აუტსაიდერთა რიგებში ყოფნის შემდეგ უკვე გათამაშების ფინიშზე საშუალება მიეცათ არა მარტო დაეღწიათ თავი სახიფათო ზონისთვის, არამედ ებრძოლათ პირველ ათეულში მოსახვედრად, რაც გარკვეული რეაბილიტაციაა წლევანდელი ხანგრძლივი წარუმატებლობისთვის. ორ დარჩენილ მატჩში 4 ქულის აღება ჯამში 30 ქულას აძლევს ეს კი სავსებით საკმარისია ათეულში მოსახვედრად.

ამ პერსპექტიული ამოცანის განსახორციელებლად დინამოელებმა კარგად ითამაშეს “ჩერნომორეცთან”, საფუძვლიანად აიღეს ხელთ ინიციატივა და მეტოქეს ფაქტიურად მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. ანგარიში შეიძლება კიდევ უფრო მეტიც ყოფილიყო.

პირველი 20 წუთის მანძილზე ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო, რამდენადმე მაინც სახიფათო მომენტები არც ერთი გუნდის კართან არ შექმნილა. მერე მასპინძლებმა უცებ უმატეს ტემპს, მ. მაჩაიძემ სწრაფად აუქცია გვერდი ზუბკოვს და ძელს მოახვედრა ბურთი. რამდენიმე წუთის განმავლობაში “ჩერნომორეცის” კართან ზედიზედ შეიქმნა საგოლე სიტუაციები, ბურთი კიდევ ერთხელ მოხვდა ძელს გუცაევის დარტყმის შემდეგ. ეს იყო მძლავრი შტურმი, რომელსაც ბოლოს და ბოლოს გოლიც მოჰყვა: გუცაევის მორიგი გარღვევა ცენტრში გადაცემით დამთავრდა. აქ კარგად ითამაშა მ. მაჩაიძემ და ზუსტად დაარტყა დეგტიარიოვისგან შორეულ კუთხეში.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს დაწოლა. ოდესელებმა ვერაფერი მოუხერხეს გუცაევს. ამავე ფლანგიდან ხშირად მონაწილეობდნენ იერიშებში გავაშელი, ძოძუაშვილი, არანაკლებ სახიფათო

ვითარებანი იქმნებოდა ცენტრშიც და სტუმრები რამდენიმეჯერ გადაურჩნენ აშკარა ხიფათს.

მეორე გოლი მაინც გავიდა 85-ე წუთზე. ძოძუაშვილი კვლავ ჩაერთო შეტევაში, ბურთიანად გავიდა რამდენიმე მცველს შორის და მეორე ბურთი გაგზავნა ოდესელთა კარში.

ახლა დინამოელებს დარჩენილი აქვთ ბოლო თამაში ვოროშილოვგრადის "ზარიასთან", საჭიროა მისი მოგება და გუნდს გარანტირებული აქვს ადგილი ათეულში.

რ. ქორიძე.

სურათზე: ასეთი მომენტები მრავლად იქმნებოდა განვლილ მატჩში. "ჩერნომორეცის" მეკარე ა. დეგტიარიოვი იღებს მ. მაჩაიძის მიერ დარტყმულ ბურთს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

19.11.74